# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 94. ხუთშაბათი, 20 თებერვალი 1903 წ. გაზეთის № 2071.


## სურათები

1

„ვიცოდი, რომ ასე უნდა მომხდარიყო! განა არა, გული მეუბნებოდა!“—დიდის ფიქრის შემდეგ წაიბუტბუტა ვასილ ვასილიჩმა და თანაც საშინლად ამოიოხრა.

ვასილ ვასილიჩს ორივე ხელი შარვლის ჯიბეში ჩაეწყო, სკამის ზურგზე გადაწოლილს თავი გადაეგდო და თვალები ჭერში მიეშტერებინა. ეტყობოდა, იმის თავში საშინელი ფიქრები ირეოდა.

„დიახ! სწორედ ის არის მიზეზი, ისა, ის კანცელარიის თავვი, ის თხუნელა!“—წამოიძახა ვ. ვასილიჩმა, ნემსნაკრავსავით უცბად წამოხტა სკამიდან და ოთახში აჩქარებულ სიარულს მოჰყვა. „არა, აქ გენერალი არაფერ შუაშია! ეს სულ იმ თხუნელას ოსტატობაა. ესეც შენი სკოლის ამხანაგი! არა, მეყო ამდენი მოთმენა! ხვალვე უნდა გენერალს მივმართო. „თქვენო აღმატებულებავ!“ — დაიწყო ვ. ვასილიჩმა, ერთს წამს შესდგა, წელში გასწორდა, ხელები ძირს დაუშო, ჩაახველა, ცოტა ენაც დაება და განაგრძო: „თქვენო აღმატებულებავ! მე ყოველთვის წესიერად ვიქცეოდი, მაგრამ სხვები დააჯილდოვეს, მე კი...“ ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა! კარგად არ მოდის, ასე ემჯობინება: „თქვენო აღმატებულებავ! მე სული და გული კანცელარიაში მაქვს... შემთხვევით გამომტოვეს, არ წარმადგინეს წარჩინებაზე... თქვენო აღმატებულებავ! ცოლი, შვილები...“ ასე და ამ რიგად მოუყვები...“

მაგრამ ვ. ვასილიჩს სულთქმა შეეკრა, ლოყები აუწითლდა და გულმა კანკალი დაუწყო. როგორც იყო, ნერწყვი ჩაჰყლაპა, უიმედოდ გაიქნია თავი და ისევ სიარულს მოჰყვა.



ხატაური.—სურ. ადანის.

„ეჰ, აქედანაც არა გამოვა-რა! სულ ერთია, მე გენერალი ყურს არ დამიგდებს. მაგრამ ეს კიდევ არაფერია: ერთიც ვნახოთ, ცუდ გუნებაზე შევხვდი! მაშინ?“ ბუტბუტით ეკითხებოდა ვ. ვასილიჩი თავის თავსა. „მაშინ?“ გაიმეორა ვ. ვასილიჩმა, წელში გაიმართა, სათვალების მაგივრად თვალებთან თითები მიიტანა, თანაც ერთი თვალი მოჭუტა, სახის ერთი მხარე დაიჭმუჭნა და ბოხის ხმით უპასუხა თავის-თავს: „Подавайте въ отставку!“ „არა, არა ეს არ ევარგება!“—ჰფიქრობდა ვას. ვასილიჩი. „აი რა!“ სიხარულით წამოიძახა ცოტა სიჩუმის შემდეგ, თითები გაატკაცუნა და მოჰყვა ისევ სიარულს: „ეს ძალიან კარგი მომაგონდა, ძალიან! უსახელო წერილს მივწერ გენერალს და ერთი კარგად შევამკობ იმ თხუნელას, იმ უსინიდისოს იმას“.

ვ. ვასილიჩი შედგა, ორი ნაბიჯი გადასდგა სტოლისკენ, მაგრამ ისევ უცბად მოტრიალდა და ტუჩები უსიამოვნოდ ჩაიტკაცუნა. კიდევ წარმოუდგა თვალწინ ზარ-დამცემი გენერალი: „ეს საქმეს არ შეეხება!“—აი რას იტყვის გენერალი! ნაღვლიანად წარმოსთქვა ვ. ვასილიჩმა და თავი გააქნ-გამოაქნია. „წადი და ვირი ტალახიდან ამოათრიე მაშინ! თხუნელაც გაიგებს დ უფრო უარესად გადამეკიდება! რაღას ჰფიქრობ მაშინ ვას. ვასილიჩ?“—ეკითხებოდა თავის თავს: „არა, მართლა და, რა გენერლის საქმეა, ვინ ვის შეირთავს. ერთი მითხარი, შე ოხერო, ჩემო თავო, იმ წუწკმა, იმ თხუნელამ რომ ჯერ დედასთან იცხოვროს და მერე იმისი ქალი - შვილი შეირთოს ცოლად, გენერალს რა? არა, მე რა მჯიდა, რომ დაუწყე იმ კაცების მასხარას სინიდისის მხილება! თავშიამც ქვა უხლია, მე რასა ვკარგავდი... ეჰ, ჰხედავ, ისევ ამ თხუნელის წინ უნდა მოვიხარო ქედი, ვაი დედასა!“..

ვ. ვასილიჩი ბევრს ეცადა დავიწყებისთვის მიეცა თავი, ბევრ ნაირად სცადა კრაოტზედ გასწორებულიყო: ხან თავქვეშ, ხან თავზედ დაიდო გაზეთი, სცდილობდა ცოტა თვალი მოეტყუებინა; მაგრამ ვერა, მოსვენებას ვერ ეღირსა. ბოლოს ისევ წამოდგა ფეხზედ, დაჭმუჭნული გაზეთი გადისროლა სტოლზედ, მივიდა კარებთან და ფანჯარაში ყურება დაიწყო.

ბინდდებოდა. ყინვა თან და თან ძალას იკრებდა. სარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხის წყლით მოღვრილ პატარა ეზოს უკვე გადაჰკროდა ყინულის თხელი ქერქი და ალაგ-ალაგ თეთრ ლურჯად ბრწყინავდა. ზოგგან ფეხს უკვე ჩაემტვრია ყინულის ქორფა კანი, პაწია ორმოებიდან ლურჯად ამოეხეთქა მიწაში არეულ სითხეს და ერთის შეხედვით გეგონებოდათ, პაწია ზღვის ტალღები ერთბაშად შემდგარან და შეყინულანო. კოჭებიდან ამოვარდნილ ალაყაფის კარებთან, კუთხეში მობუზულს პატარა ფინიას სიცივისაგან ბალანი აჰბურძგნოდა, საშინლად თრთოდა, თავი მაღლა აელო და ხმის კანკალით გაჰყეფდა, თითქო ზეცას შესტიროდა, შეებრალა ობოლი, უპატრონო ფინია.

ვ. ვასილიჩმა აგერ მეორედ შენიშნა ალაყაფის კარებიდან შემოსული მოხუცი დედაკაცი. რომელიც მალე იმის ცოლთან შევიდა. პირველ დანახვაზედ მხოლოდ უსიამოვნოდ შეიქი-



ურიელ აკოსტა.—სურ. ჰირცენბერგის.

მა წარბები, მეორეზედ კი მოაგონდა, რომ იმისი ცოლი ახლო ხანში იყო დასაწოლი და, მაშასადამე, დასაზვერად მოდიოდნენ ეს „შავი ყორნები“, როგორც ვას. ვასილიჩი ეძახდა იმათ. „მადლობა ღმერთს, მიზეზი იპოვნეს!“ ჰფიქრობდა თავისთვის ვ. ვასილიჩი: „ესღა მაკლდა! მოუმზადე ახლა ამათ ყოველ საღამოს ჩაი და ჩაახეთქე! ერთი ავი კაცი უნდა ვიყო, რომ შეუვარდე და სულ აუდით ქვა ვასროლინო... არა და, ჩემ პატიოსანსაც ერთი ბეწოდ მუცელი ასტკივდება და აღარ იციან, რა ჰქნან: ჰაი ფლანი, ჰაი ფსტანი! ხარჯს კი აღარ კითხულობენ... მერე საიდან?.. ოჰ, თხუნელავ!“ მწარედ წამოიძახა ვ. ვასილიჩმა, მიტრიალდა სტოლთან, მოუკიდა პაპიროზს და ხელ მეორედ კრაოტზედ გადაგორდა. დიდის ბორგვის შემდეგ, როგორც იყო, გასწორდა, თავი ხელებზედ მისდო და ბუხარს მიაჩერდა, სადაც წითელ-ყვითლად გაჰქონდა ღუზღუზი გაძლიერებულ ცეცხლს, სასიამოვნოდ გუგუნებდა და საკმაოდ ანათებდა პატარა ოთახს.

ცეცხლის შუქზედ შეგეძლოთ გაგერჩიათ ექვსიოდე ჩალის სკამი, პატარა რგვალი სტოლი, კუთხეში მიდგმული, ზედ ანთებულის ლამფით; უზარმაზარი, ძველი ხის წითელი ზანდუკი; იმის გვერდზედ, კუთხეში, ლურსმანზედ ბლომად ჩამოკიდული ტანისამოსი, პირსახოცი და სხვა წვრილმანი; სტოლზედ რამდენიმე ძველი წიგნი, ცარიელი და სავსე გილზების კოლოფები, დაჭმუჭნული გაზეთი და კრაოტის თავით ლურსმანზედ ჩამოკიდებული ფორმის სერთუკი. ეს პატარა ოთახი შეადგენდა ვ. ვასილიჩის კაბინეთს და საწოლს.

ვ. ვასილიჩი, ახალგაზრდობას გადასული, სასიამოვნო შეხედულობის ვაჟკაცი იყო. იმისი გადაშლილი შუბლი, შავი დიდი თვალები, ხუჭუჭა თმა და სურათი ცხვირი გეუბნებოდათ, რომ სიყმაწვილეში ბევრ ქალიშვილისთვის უნდა აეტოკებინა გული. მართლაც და ახალგაზრდობისას ბევრის ქალის გული იყო იმისაგან მოკლული და გაცრუებული. ბევრ ძმას და ნათესავს დაეპირებინა იმისი „გაბერტყა“; ბევრ მოქიშპეს სწყუროდა იმისი სისხლი. მაგრამ მუქარა მუქარად რჩებოდა, რადგან იმის გარდა, რომ თითონაც კაი ღონიერი მკლავის პატრონი იყო, რაღაც ინსტიქტით განსაცდელს მიჰხვდებოდა ხოლმე, მოულოდნელად სტოვებდა სახიფათო მსხვერპლს და სხვა ადგილას გადადიოდა სანადიროდ. ნათქვამია, კოკა წყალზედ გატყდებაო, და სწორედ ასე დაემართა ვას. ვასილიჩსაც. ამ სამის წლის წინად ერთ ახალგაზრდა ლამაზ ქალს—დღეს იმის მეუღლეს ანნას—დაუახლოვდა. ბევრი ეცადა თავისი აესრულებინა და მოტყუებული ქალი ცარიელზედ გაეშვა, მაგრამ ამაოდ! ანნა, ცოტა არ იყოს, ცივის გულისა გამოდგა, ამასთან ჭკვიანი და შორს მხედველიც. ვ. ვასილიჩს, გამარჯვებას დაჩვეულს, ბრაზი მოსდიოდა და ჯავრით არ იცოდა, რა ექნა. ამხანაგების დაცინვამ ხომ კინაღამ ჭლექი გაუჩინა. „ჰა, ვასილ ვასილიჩ, როგორ არის საქმე?“ ეკითხებოდნენ დაცინვით ყოველ შეხვედრის დროს.

„რაც მომივა, მომივაო“! გადასწყვიტა ვ. ვასილიჩმა და ანნაზე იერიში მიიტანა. ანნა ისე გარედ არ გამოვიდოდა, რომ ვ. ვასილიჩი, თითქო დედამიწიდან ამოძვრაო, წინ არ შეჰფეთებოდა და სახლამდის არ მიეცილებინა. გავიდა დრო. ვ. ვასილიჩმა გულის წადილი კი აისრულა, მაგრამ სამაგიეროდ თავი ველარ დააძვრინა. იმისი კავშირი ყველასთვის აშკარა იყო. ორში ერთი უნდა აერჩია: ან ცოლად შეერთო ანნა, ან კიდევ სამართალში გაბმულიყო და სამსახური დაეკარგნა. ნამეტნავად უკანასკნელისა ეშინოდა. ამიტომაც ვ. ვასილიჩმა, დიდის ყოყმანის შემდეგ, უკანასკნელი არჩია და ერთ თვეზედ შეიქნა კანონიერი მამა კანონიერის ვაჟი შვილისა.

ცოლშვილიანობამ ვ. ვასილიჩის ზნე-ჩვეულებაში არავითარი ცვლილება არ შეიტანა. ოჯახი იმისთვის მძიმე და მეტი ტვირთი იყო. ამიტომაც მომეტებულ დროს სულ გარედ ატარებდა და ჯამაგირის მეტ ნაწილსაც ლხინსა, ქაღალდისა და ბილლიარდის თამაშს ალევდა. ამ ორის წლის წინად ვ. ვასილიჩს უსიამოვნება მოუვიდა საქმის მწარმოებელთან და ეს იყო მიზეზი, რომ ამხანაგებს სამსახურში ცოტა უკან ჩამორჩა, თუმცა მუყაითობისთვის არას დროს არ უმტყუნია. ტყუილად კი არ აბრალებდა „თხუნელას“, როგორც იმან საქმის მწარმოებელი მონათლა. გენერალი მიუწდომელი იყო მოხელეებისთვის და იმისთანა წვრილმანებზედ, როგორც მაგ. მოხელის ჭირ-ვარამი, თავს

არ იწუხებდა. ამ გარემოებით კარგად სარგებლობდა „თხუნელა“, მოხელეების ბედ-იღბალი თითქმის ხელში ეჭირა და, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა საქმეს.

ვ. ვასილიჩს ცოტა წასთვლიმა, მაგრამ რაღაც ხმაურობამ მალე გამოაღვიძა. მეორე ოთახიდან, ეგრედ წოდებულ ზალიდან, ისმოდა აჩქარებულ ფეხის ხმა, დაბლა კვნესა და ტირილი. ყველა ეს რაღაც გულსაკლავ ჰანგად ირეოდა ერთმანეთში და დრო გამოშვებით ხან შესწყდებოდა, ხან უფრო მატულობდა.

სტიროდა და ჰკვნესოდა ანნა, რომელსაც მოახლოვებოდა ლოგინზედ დაწოლა და ტკივილი საშინლად აწუხებდა. მაგრამ სტიროდა უფრო იმიტომ, რომ აგერ მეორე დღე იყო, რაც ქმარი აღარ ნახულობდა სულ უბრალო უსიამოვნების გამო. წუთიდან წუთზე ხმაურობა ძლიერდებოდა. ზალის კარები ხშირად იღებოდა და იხურებოდა. ვ. ვასილიჩმა გატრუნა სული და ყურადღებად გადაიქცა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ზალაში ბლომად მოეყარათ თავი დედა კაცებს და გაფაციცებულ მუშაობაში იყვნენ.

„ეჰე!“ იფიქრა ვ. ვასილიჩმა! „ესეც შენი მეორე სურპრიზი! ახლა თუ ბებიაც მომთხოვეს, შენ მაშინ ნახე სეირი! მერე ჩემი ჯიბე ისეა წმინდა, როგორც თხუნელას სინიდისი. აქ უყურე და! მოდი და ნუ მოიხრი თავს იმ არამზადა თხუნელას წინაშე! სად წახვალ უპროტექციოდ? მაგრამ ახი კია ჩემზე, ახი! რა მინდოდა მარტოკა ვგდებულიყავ! ეხლა რომელი ერთი ვიდარდო: ცოლი, შვილი, კიდევ შვილი, სიდედრი, თუ ჩემი თავი! მოიტა და მოიტა! ახლა, ანგარიშსაც რომ მომთხოვენ ხოლმე!“ აქ ვ. ვასილიჩმა ტაში ტაშს შემოჰკრა, თავი გაიქნ-გამოიქნია და მეორე მხარზე გადატრიალდა. „მომიყვებიან: სად იყავ, ფულს რას უშვრები, ნუ სვამ და სხვა. მოდი და ნუ დალევ, როცა ბოღმით გული სკდება! ვის შეუძლიან გაუზიარო შენი დარდი? ცოლსა? მერე გაიგებს ან შეისმენს რამეს ქალის მოკლე ჭკუა? ან თუ არა და რა ცოლის საქმეა ქმრის საქმეში ჩარევა! შენ გდიხარ შენთვის, ეგდე, შე ოხერო: მოხარშე, სახლს მოუარე, შვილს მოუარე, მორჩა და გათავდა! შენ შენი არ დაგაკლდეს და სახლში დავიძინებ თუ გარედ, ეგ რა შენი საქმეა?“ ფიქრით ეკითხებოდა ვ. ვასილიჩი თავის ცოლს: „იმ ქოფაკმა სიდედრმა ხომ თავის წრიპინით სისხლი გამიშრო რაღა, სისხლი! მამა ვაცხონე დავიდოვისა, ახია რაც ის ცოლს დღეს აყენებს... მოიცა.“ შესწყვიტა ფიქრი ვ. ვასილიჩმა და სული განაბა. „ტირილს მოუმატა. აი, იტირე შენი თავი, შენი... მოთმენა აღარ შეუძლიან, მალე მოვშორდე, თორემ ჭკუიდან შემშლიან.“

ვ. ვასილიჩი საჩქაროდ წამოხტა ფეხზე, გაიძრო საშინაო ძველი ტუჟურკა და მივიდა კედელთან ფორმის სერთუკის ჩამოსაღებად. ამ დროს ზალის კარები გაიღო ნელა და ვ. ვასილიჩს გამოეცხადა მოხუცი სიდედრი, რომელიც ძველ „შავ კაბაში, თავზედ ძველის შალის ნაგლეჯით და დაკარწახებულის მკლავებით ჩუმად იდგა ერთ ადგილას, თითქო ბრძანებას ელისო.

— რა გნებავთ? რა იყო?—შეტევით მიუბრუნდა ვ. ვასილიჩი და სერთუკი კრაოტზედ გადისროლა.

— შვილო, ექიმი, გენაცვალოს დედა, ექიმი! თორემ დავიღუპეთ!—უცბად წამოიძახა მოხუცმა, ცრემლები ველარ შეიმაგრა და კაბის კალთით თვალების სრესას მოჰყვა.

— რაო, ექიმიო!—გაოცებით შეჰყვირა ვ. ვასილიჩმა და თვალები გადიბრიალა.—მამა გიცხონდებათ, მამა თქვენიც უექიმოდ აღარას მიირთმევდა!

მოხუცმა ველარ გაჰბედა ხმის ამოღება, გულხელი დაიკრიფა და უნუგეშოდ თავი ძირს დახარა. ვ. ვასილიჩი დასწვდა სერთუკს, გადიცო ტანზედ და აჩქარებით მოჰყვა ღილების შეკვრას.

— არა და! ბებიასაც რომ აღარა კადრულობენ!—ჰკვიროდა ვ. ვასილიჩი და თან გული მოსდიოდა და ილანძღებოდა, რომ სერთუკის ღილები მალე არ იკვრებოდა.

— შვილო, რათა სჯავრობ? დაე ბებია იყოს, მხოლოდ მალე, შენ გენაცვალოს დედა!—ეხვეწებოდა მოხუცი და თან ცრემლებს ხელის გულით იწმენდავდა.

— კარგი, გავიგე, ნუ გამიჭირეთ საქმე, მომშორდი თავიდან!—კიდევ შეუტია ვ. ვასილიჩმა და ხელი უჩვენა ზალისაკენ:—მთელის ქუჩის ყვავ-ყორნებისთვის თავი მოგიყრიათ, რაღა ბებია გინდათ, ან საიდან მერე? აი ჩემი ფული!—ვ. ვასილიჩმა ამოიღო ჯიბიდან ცარიელი პორტმანი და თავის გასამართლებლად ცხვირ წინ დაუბერტყა სიდედრს.

— მაშ რას უშვრები, შვილო, იმოდენა ფულს? თხუთმეტ თუმნამდის...

— Но, но!—გააწყვეტინა ვ. ვასილიჩმა.—მოჰყე კიდევ? ეგ თქვენი საქმე არ არის, რამდენსაც ვიღებ, მომწყდით თავიდან!—შეუტია და თითი ზალისკენ გაუშვირა.

მოხუცი ადგილიდან არ იძროდა. იმის სახის ერთ ნაწილს ბუხრიდან სინათლე მისდგომოდა და ჩალურჯებულ თვალში მორეულ ცრემლებს ცეცხლის შუქი მხიარულად სხივებს ესროდა. „ეჰ! ჰფიქრობდა მოხუცი: შე სინიდისისაგან ხელ აღებულო, შენა, კარგადა გაქვს ეშმაკებისთვის და სალოთაოდ, ჩემ შვილისთვის კი..“ შვილის ხსენებაზედ გული ამოუჯდა, ერთი მწარედ ამოიოხრა, თვალები მოიწმინდა კაბის კალთით და ზალის კარები შეაღო.

ვ. ვასილიჩმა თვალები ზიზღით გააყოლა მოხუცს და როცა უკანასკნელმა კარი გაიხურა, ერთი შეუკურთხა და თანაც მიაფურთხა: „შხამია სწორედ, შხამი, გველივით ზედ გულზედ გიკბენს! „რას უშვრები ფულსა, ამდენს იღებ, იმდენს იღებ!“ იმეორებდა სიდედრის სიტყვებს და თან სახის მანჭვით აჯავრებდა. „ერთი კაცმა ჰკითხოთ, რა მაგათი საქმეა, რამდენსაც



განდეგილი.—სურ. იაკობიდისა.

ვიღებ; ვინა გდიხართ, რომ ანგარიშსა მთხოვთ? მოართვით ექიმი! აი, ნეტა არ იქნება, გასწყდეთ და თან გადაჰყვეთ

ერთმანეთს, ცოტას მაშინ თუ მოვისვენებ!“ ბუტბუტებდა ვ. ვასილიჩი და გაცხარებული კუთხიდან კუთხეში ქუდს დაეძებდა. „არა და, ის ოხერი ქუდიც ეხლა დაიკარგა, რომ მოვშორდე მალე და დავიღუპო სადმე! დახე, სადა გდებულა!“ წამოიძახა ვ. ვასილიჩმა და იატაკიდამ ქუდი აიღო: „ბნელაში კაცს ვერა გაურკვევიარა. ნეტა რას მიკეთებენ, რომ ლამფა რა არის, ლამფა ვერ აუნთიათ! ჰყრიან უდარდელად და სულ მოტანაზე უჭყეტიათ თვალები“! ილანძღებოდა და თანწნიდაყვით ქუდს ისუფთავებდა.

რამდენსამე წუთს პალტოში გამოწყობილი და ჯოხით ხელში წასასვლელად მომზადებული ვ. ვასილიჩი კარებთან იდგა და ჰფიქრობდა, ვისგან და რა გზით ეშოვნა ფული. „ივანე დარაჯს გირაო უნდა... რაცა მქონდა, სულ დაუგირავე... ამხანაგები ხომ არას მომცემენ და არას! ეჰ, სულ იუდები არიან!“ გასწყვიტა ფიქრი ვ. ვასილიჩმა და სახე უსიამოვნოდ დაელრიჯა. „ვცდი მაინც, წავალ ჯერ ნიკოლაი ნიკოლაიჩთან“. გადასწყვიტა როგორც იყო და კარებს ხელი წაავლო გასაღებად. აქ უეცრად მოაგონდა, რომ თამბაქო დავიწყებოდა, მიბრუნდა სტოლთან, საჩქაროდ აავსო სათუთუნე და ისარივით გავარდა ოთახიდან.

გ. მაქსიმაძე.

(შემდეგი იქნება)



ტფილისის ტრამვაის რაშები.




მასწავლებლის მდგომარეობა.



ერთის თვის ჯვარ-დაწერილნი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს—6 მანეთი.

1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი

შოთა რუსთაველისა

საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„მოამბე“

წელიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.

„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით

„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნება

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Февраля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.